



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსიძე შალვა ილარიონის ძე



შ. მოსიძე

მოსიძე შალვა ილარიონის ძე (დ. 28. XII. 1936, ჭიათურა), ქორმაისტერი, პედაგოგი. საქართვე. სახ. არტისტი (1988). რუსთაველის პრემიის ლაურეატი (2013). 1962 დაამთავრა თბილ. „ნიჭიერთა ათწლელი“ საგუნდო-სადირიჟორო განხრით (პედ. გ. კაპანაძე), 1967 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია გუნდის დირიჟორის სპეციალობით (პედ. ვ. ფალიაშვილი). 1962-იდან იყო თბილ. II მუს., 1969-იდან კი – გორის მუს. სასწავლებლის პედაგოგი. 1970 დააარსა (ს. კატარავასთან ერთად) „გორის გოგონათა გუნდი“, იყო მისი უცვლელი სამხატვრო ხელმძღვ. და დირიჟორი, 1976-იდან – თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პედაგოგი (გუნდის დირიჟორობა), 2007-იდან – კათედრის გამგე, ასოცირებული პროფ. (2006), სრული პროფ. (2013), ემერიტუსი (2021).

1976–85 თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში დირიჟორობდა

თავისსავე დაარსებულ ქალთა გუნდს. იყო საერთაშ. კონკურსების ჟიურის წევრი. მ-ის მონაწილეობა შორის არიან საქართვე. წამყვანი ქორმაისტერები: ზ. ბოლქვაძე, გ. ჟორდანი, ა. უშვერიძე, თ. ცირამუა, ნ. ნიკლაური, ს. (ჯ.) ჯანგულაშვილი და სხვ. მ-ის რეპერტუარი მოიცავს ქართ. და მსოფლიო საგუნდო მუსიკას, მ. შ. ნ. ვანაძის, გ. ჩლაიძის, ო. თაქთაქიშვილის, ა. მაჭავარიანის, რ. ხორავას, ჯ. ბეგლარიშვილის, ზ. ბოლქვაძის, ჯ. პალესტრინას, კ. მონტევერდის, დ. სკარლატის, ჯ. პერგოლეზის, რ. შუმანის, ბ. ბარტოკის, ფ. პულენკის, ა. შონბერგის, დ. შოსტაკოვიჩის, ს. რახმანინოვის და სხვათა ნაწარმოებებს, განსაკუთრებული თანხვედრა და წარმატება კი ი. კეჭაყმაძის შემოქმედებას უკავშირდება. მ-ის რეპერტუარშია აგრეთვე ქართ. ხალხ. და მსოფლიო ხალხთა სიმღერები,

სპირიჩუელსები და სხვ. არის საგუნდო ბგერწერის ოსტატი განუმეორებელი საშემსრულებლო მანერით, ტექნიკითა და აკუსტიკური მრავალფეროვნებით. იგი არის მრავალი კონკურსის ლაურეატი - I პრემია 1985 (მსოფლიო XII ახალგაზრდული და სტუდენტური ფესტივალი), II პრემია და სპეც. პრიზი (1986; ბ. ბარტოკის სახ., დებრეცენი, უნგრეთი), III პრემია და სპეც. პრიზი ხალხ. და თანამედროვე ნაწარმოებების შესრულებისათვის (1989; მარკტობერდორფი, გერმ.). **მ**-ს მიღებული აქვს საქართვე. კომკავშირის პრემია (1980), ღირსების ორდენი (1996, 2013), სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო - „წმ. გიორგის ოქროს ორდენი“ (2013), ეროვნ. მუს. ცენტრის ე. მიქელაძის მედალი, „ხელოვნების ქურუმის“ წოდება. **მ**. და „გორის ქალთა კამერული გუნდი“ არის საგუნდო მუს. საერთაშ. ფედერაციის - „ევროპა-კანტატის“ წევრი. გორის თეატრის წინ გახსნილია **მ**-ის ვარსკვლავი (2023).

ლიტ.: ა ხ მ ე ტ ე ლ ი მ., შალვა მოსიძე - 70, წგ.: ცხოვრება ხელოვნებაში, თბ., 2011; პროფესიაში გამორჩეულნი, ტ. 2, თბ., 2012; წ უ რ წ უ მ ი ა რ., საგუნდო მუსიკის ოსტატი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1983, №1.
